საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გრაფის ჩანაქცევი

გრაფის ჩანაქცევი, კარსტული შახტი (მღვიმე) დასავლეთ საქართველოში, გუდაუთის მუნიციპალიტეტში, ბზიფის კირქვულ მასივზე, ზ. დ. 2200 მ სიმაღლეზე.

გამომუშავებულია ზედაიურულ მასიურ კირქვებში. მღვიმე იწყება ვიწრო ნაპრალით, რ-იც ებმის მოზრდილ დარბაზს; გასწვრივ ჭრილში მღვიმეს აქვს საფეხურისებრი პროფილი. სიღრმე – 700 მ, დერეფნების ჯამური სიგრძე – 550 მ, მოცულობა – 14000 $მ^3$. მღვიმეში არის შეუსწავლელი განშტოებები.

შახტში სამი მოზრდილი ტბაა, გაედინება ნაკადული. ცალკეულ უბნებში ჭარბი ნგრევის მასალაა.

ლიტ.: ტ ა ტ ა შ ი ძ ე ზ., წ ი ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი კ., ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი ჯ., საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 2009.

ზ. ტატაშიძე